

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 54

29.04.2021
11:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს ოთახი

მიმდინარე წლის 29 აპრილს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და კულტურისა და განათლების კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქაგა**, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილაგა**, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **მაკა ნასრაშვილი**, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი 12-0321118126-03, 28.04.2021); *(მომხსენებლები - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი და ირაკლი გვილაგა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი)*
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი 12-

0321118120-03, 28.04.2021); (მომხსენებელი - მკა ნასრაშვილი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი);

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა.

მკა ნასრაშვილი - მოგესალმებით, როგორც მოგეხსენებათ საქალაქო სამსახურს აქვს პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესი. წარმოგიდგინებთ საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების პროექტს, რომელიც კულტურის ნაწილში დამატებით პროგრამის შემოტანას გულისხმობს. ეს არის მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების დაფინანსება, მაგრამ აქ არ მოიაზრება მხატვრული, სტანდარტული სრულმეტრაჟიანი ფილმები, აქ იგულისხმება დოკუმენტალისტიკა, რომელიც იქნება დაკავშირებული თბილისთან, თბილისის ისტორიასთან, მის კულტურულ განვითარებასთან, რადგან ჩვენ როგორც მოგეხსენებათ ამავე წესით დარეგულირებული გვაქვს „შემოქმედებითი თბილისი“, რომელიც ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა და შემოქმედებითი საქართველოს“ გამოძახილია, სადაც მოიაზრება აუდიო-ვიზუალური სექტორის განვითარება. ძალიან დიდი მომართვიანობა იყო აუდიო-ვიზუალურ სექტორის მხრიდან სწორედ ამ ნაწილთან დაკავშირებით და შესაბამისად, გაითვალისწინა სამსახურმა. ასევე კარგია იმ კუთხით, რომ იქმნება პროდუქტი, რომელიც თავად თბილისის მერიასაც შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ფესტივალებზე. დაფინანსების ზღვარი, როგორც სხვა პროექტებთან მიმართებაში იქნება არაუმეტეს 25 000 ლარისა, ეს არის ზედა ზღვარი. თანადაფინანსებით განხორციელდება ეს პროექტებიც და გთხოვთ თანხმობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლევან ჯაფარიძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ ინფორმაციას. ფინანსთა სამინისტრომ რეგიონული განვითარების ფონდიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყო დამატებით 30 000,0 ათასი ლარი. 12 000,0 ათასი ლარით გაიზარდა ჩვენი ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი. გარდა ამისა, 24 000,0 ათასი ლარი და საპრივატიზაციო გეგმას ვზრდით 11 000,0 ათასი ლარით. ეს ყველაფერი ჯამში შეადგენს 78 900,0 მილიონ ლარს. საიდანაც 40 000,0 ათასი ლარი, როგორც 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას იყო განსაზღვრული შესაბამისად გადანაწილდა. მათ შორის არის 7 108,6 ათასი ლარი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით გამოყოფილი, საიდანაც 2 000,0 ათასი ლარი ორი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოებს, ხოლო 5 108 600 ათასი ლარი სპორტული ობიექტების მშენებლობა/აღჭურვას მოხმარდება. გარდა ამისა, თანხა ემატება სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებას და მაგისტრანტების სტიპენდიას 1 300,0 ათასი ლარი. 6 000,0 ათასი ლარი ემატება სარეზერვო ფონდს, საიდანაც 2 000,0 ათასი ლარი მოხმარდება რესტორნებისა და კაფე-ბარების, კლუბების ზარალის ანაზღაურებას, 2 000,0 ათასი ლარი კოვიდ ვირუსით დაზარალებულ ოჯახებს. ეს არის ძირითადი მიმართულებები, ასევე დამატებით 6 000,0 ათასი ლარი ემატება ბაღების ვაუჩერს, რაც დეფიციტურია და 500,0 ათასი ლარი სამარშუტო ტაქსების სუბსიდიას ტარიფის შემცირებიდან გამომდინარე.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვას:

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, კომისია დეტალურად წარმოგიდგენთ რა მიმართულებით გამოიყო დამატებითი თანხები. ვარკეთილში და დიდ დილოში შენდება მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრები ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე. ერთ სივრცეში განთავსებულია სხვადასხვა სოციალური და სპორტული ინფრასტრუქტურა. იმის გამო რომ სავალუტო კურსი მუდმივად იცვლება და კომპანიებს მნიშვნელოვნად გაუძვირდათ სერვისები, განსაკუთრებით მოიმატა რკინა-ბეტონის ფასმა და ამის გამო ხდება მცირე დახმარება, რომ რეალურად განხორციელდეს ეს პროექტები. შეიძლება დროში გაიწელოს, თუმცა, დაგეგმილია რომ წლის ბოლომდე, შემოდგომისთვის უნდა დასრულდეს ორივე პროექტი. ამიტომ, თითოეულ მათგანს, კერძოდ: ვარკეთილის მულტიფუნქციურ ცენტრს სამშენებლო სამუშაოებისთვის დაემატება 673 800 ათასი ლარი, ხოლო დიდ დილომის მულტიფუნქციურ ცენტრს 450 000 ათას ლარზე მეტი. ასევე ორივე მათგანს დასრულების შემდეგ, ინვენტარიზაციის მიზნით ესაჭიროება 1 700,0 ატას ლარზე მეტი. ასევე, წყნეთის გზატკეცილზე დახურულ ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობაა დაგეგმილი, რომელსაც 1 000,0 ათასი ლარი მოხმარდება. ტანვარჯიშის განვითარების ცენტრს, რომელიც მერიის ა(ა)იპ-ია 300,0 ათას ლარზე მეტი გამოეყოფა რეაბილიტაციისთვის. ისანი -

სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის „ვაზისუბნის სარაგბო კომპლექსის“ რეაბილიტაციისთვის 100,0 ათასი ლარი გამოიყოფა და ბოლოს, მზიურში არსებული სპორტული საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაციას 1 000,0 ათასი ლარი მოხმარდება. ჯამში, აღნიშნული მიმართულებით რა ცვლილებებიც განხორციელდა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით 7 108, 6 ათასი ლარი იხარჯება. რაც შეეხება, გამგეობების ნაწილს არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით და არც ინფრასტრუქტურის ნაწილში. გარდა ამისა, ცვლილებები არ არის საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო პროგრამის (08.08) ახალგაზრდული პროგრამების მიმართულებით.

კარგი არის ის, რომ ყველა ძირითადი შენიშვნა რაც გვეკონდა, განსაკუთრებით მულტიფუნქციურებზე გათვალისწინებულია.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დიდი ნაწილი აღნიშნული თანხების დამატების გარეშე ვერ დასრულდებოდა. თანხის ძირითადი ნაწილი მულტიფუნქციური ცენტრების აღჭურვას მოხმარდება. რაც შეეხება გეგმებს, არსებული პროექტით ბაგებში ვიწყებთ მშენებლობას. რათქმუნდა არსებული თანხებით მშენებლობა წელს ვერ დასრულდება, მაგრამ პირველადი სამუშაოები დაიწყება. პროექტი მოიცავს დახურულ დარბაზს, სადაც გაიმართება ფეხბურთის ჩემპიონატები, მაგრამ ასევე, დარბაზში შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ღონისძიებების, ფესტივალების, კონცერტების, შეხვედრები გამართვა. აღჭურვილი იქნება შესაბამისი ხმის სისტემით, ინვენტარით და თავისუფლად გადაკეთდება საჭიროებისამებრ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:


„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლევან ჯაფარიძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



გიორგი ჩაკვეტაძე